

ინფორმაცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* საეთერო დრო დაყოფილია 6 სამსაათიან მონაკვეთად (საეთერო დროის ათვლა იწყება 08:00-დან), ყოველ საათში გამოიყოფა ჯამურად 5 წუთი. კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო საკუთარ ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ყოველ სამსაათიან მონაკვეთში. თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას არაუმეტეს 90 წამისა. საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს. არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოყოფილი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილ სხვა დროისთვის.

2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

* საქართველოს ორგანული კანონის ``საქართველოს საარჩევნო კოდექსის`` 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა ``ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` ან ``უფასო პოლიტიკური რეკლამა``.

* საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს დირექტორის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ.41.

* წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე 2016@ajaratv.ge უნდა გამოაგზავნოს წერილი და მედიაგეგმა დირექტორის სოსო სტურუას სახელზე. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან (სამუშაო დღე) მეორე სამუშაო დღეს. ჩანაცვლების ან განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა აცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე 2016@ajaratv.ge.

3) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

* სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან საარჩევნო ნომერი, ``უფასო ან ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` - შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX

* სარეკლამო რგოლი უნდა იყოს TARGA ან HDTV 1080i 25 ფორმატში 1920X1080 რეზოლუციით CD ან DVD დისკზე,

* ხმა-სტერეო, 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 6 დეციბალი- min 18 დეციბალი

საკონტაქტო პირი : მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი ინგა გოგოლიშვილი
591 980520, მარკეტინგის მენეჯერი გიგა ჩხარტიშვილი 599792687, სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების კოორდინატორი ზურაბ ჯიჯავაძე 591 980577.